ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4423125

ნომერი: AR1668475

თარიღი : 15.03.2019

გაცემის თარიღი : 21.03.2019

გაცნობის თარიღი : 22.03.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იური გაგარინი , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ღარიბაშვილი პ/ნ 01024059900
- თბილისი. საბურთალოს ქ.3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 15 მარტის №AR1668475 განცხადება , რომელიც ეხება ქალაქ თბილისში , იური გაგარინი ქუჩა , №25-ში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ:01.10.13.005.005) ღია სეზონური/საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით დეკორატიული ობიექტების განთავსებას. ვინაიდან, თქვენს მიერ განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ გსურთ მოძრავი ობიექტების (ქოთნების, საყვავილის) განთავსება , გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად აღნიშნული არ წარმოადგენს ისეთ სამშენებლო სამუშაოებს, რომელთა განხორციელება, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მხრიდან საჭიროებს წერილობითი დასტურის გაცემას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განცხადება.

ასევე, განგიმარტავთ, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საერთო სარგებლობაში არსებულ ტერიტორიას და მასზე ვრცელდება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარების საკითხზე მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება განეკუთვნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კომპეტენციას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.